საქართველოს მთავრობის

დადგენილება №267

2015 წლის 16 ივნისი

ქ.თბილისი

საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის ფიცის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის ფიცი შემდეგი რედაქციით:

საქართველოს დაზვერვის სამსახურის

მოსამსახურის ფიცი

მე, ----------, ვხდები რა საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურე, საზეიმოდ ვფიცავ:

– სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ვემსახურო საქართველოს;

– განუხრელად დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, კეთილსინდისიერად შევასრულო დაკისრებული მოვალეობები;

– მტკიცედ ვიდგე ჩემი ქვეყნის კონსტიტუციური წყობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე;

– არსად, არასოდეს, არცერთ ვითარებაში არ გავამჟღავნო სახელმწიფო და პროფესიული საიდუმლოება;

– თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხს ვაგებ ღვთისა და კანონის წინაშე.

ვემსახურები საქართველოს, ვცოცხლობ საქართველოსთვის,

გვფარავდეს ღმერთი!

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**